

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კერძო დაცვითი საქმიანობა სათანადო დონეზეა მოწერსიგებული მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. საქართველოში კი, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საეროდ არ არსებობს. შესაბამისად, კერძო დაცვითმა ორგანიზაციებმა ზუსტად არ იციან რა არის მათი უფლებები და რა ვალდებულებები ეკისრებათ მათ კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. დღეისათვის, აღნიშნულ საქმიანობას ეწევა უამრავი ფიზიკური და იურიდიული პირი, მათი საქმიანობა კი საერთოდ არ არის კონტროლირებადი სახელმწიფოს მიერ. ძალიან ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რუსეთში და ა.შ.), კერძო დაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობას სახელმწიფო ადგენს სათანადო ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის გზით. კონტროლის გამოყენების აღნიშნული ფორმებით სახელმწიფო ახდენს დაცვითი ორგანიზაციების ზუსტ აღრიცხვას, ეფექტური ფისკალური შედეგების მიღწევას და საბოლოო ჯამში ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს კერძო დაცვითი ორგანიზაციების ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირის თავიდან აცილების მიზნით.

კანონპროექტის მომზადების პროცესში არსებითად გაანალიზდა აღნიშნულ სფეროში ლატვიის, ესტონეთის, მოლდოვას, უკრაინის და რუსეთის საკანონმდებლო ბაზა. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი: „კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის შესახებ“, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კანონპროექტი უფრო დეტალურად არეგულირებს კერძო დაცვითი ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია კერძო დაცვითი საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე მოწერსიგება და აღნიშნულ სფეროში ცივილიზებული ურთიერთობების დამკვიდრება.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტი განსაზღვრავს - კერძო დაცვითი საქმიანობის ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზირების, ასევე ნებართვების გაცემის წესსა და პირობებს, კერძო დაცვითი ორგანიზაციის და მცველის უფლება-მოვალეობებს, კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებაზე კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს, პასუხისმგებლობის ზომებს და სხვა საკითხებს.

ამ კანონპროექტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ დაცვით საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოს ან/და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული ნივთის ან ცალკეული ღონისძიებების დაცვაზე,

რომელსაც უშუალოდ ახორციელებს აღნიშნული ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

კანონპროექტში მოცემულია კერძო დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

კერძო დაცვითი ორგანიზაციის განხორციელების უფლება წარმოიშობა სათანადო ლიცენზიის საფუძველზე. ლიცენზია გაიცემა - ადამიანის, უძრავი და მოძრავი ნივთის, აგრეთვე ცალკეული სახის ღონისძიების დაცვის და დაცვითი სისტემების დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლოატაციო მომსახურებისათვის. ლიცენზიის საფასურის ოდენობა განისაზღვრება ამ კანონით. ლიცენზიის აღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონპროექტის II თავით.

კერძო დაცვითმა ორგანიზაციამ თითოეული ობიექტის დაცვისთვის უნდა აიღოს შესაბამისი ნებართვა, რომლის საფასური და გადახდის წესი განისაზღვრება ასევე ამ კანონით. მე-10 მუხლი ითვალისწინებს ისეთ სპეციალურ ნორმებს, რომლითაც დაცვით ორგანიზაციას ეძლევა შესაძლებლობა ერთი ნებართვით განახორციელოს ერთდროულად რამდენიმე ობიექტის დაცვა. ნებართვის საფასური შეადგენს სახელშეკრულებო თანხის 2%-ს.

კანონპროექტი ადგენს - დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას, დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ფორმებს. აღნიშნული ხელშეკრულების ფორმები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დაცვით საქმიანობაში მონაწილე პირებს სათანადო ურთიერთობების მოწესრიგებაში. ამასთან, ხელშეკრულებებში მითითებული პუნქტების სრულად გამოყენება გაზრდის სახელმწიფოს მხრიდან დაცვითი ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლის შესაძლებლობებს. კანონპროექტში მითითებულია, რომ ხელშეკრულებაში შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე სხვა საკითხებიც, რომლებიც არ უნდა გასცდეს დაცვითი საქმიანობის ფარგლებს.

V თავი არეგულირებს დაცვითი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობებს და ადგენს აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. VI თავი არეგულირებს მცველის უფლებამოვალეობებს.

კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებაზე კონტროლს განახორციელებს ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი ორგანო ან/და შსს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას. აღნიშნული სფეროს მოწესრიგება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხების აკუმულირებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გაზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. კერძოდ, საბიუჯეტო შემოსავლების წყარო იქნება კანონით გათვალისწინებული სალიცენზიო მოსაკრებლებიდან და შესაბამისი ნებართვის საფასურებიდან მიღებული შემოსავალი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგების იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გარკვეულ ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ კანონის რეგულირების სფეროში. კერძოდ, კერძო დაცვის ორგანიზაციებს მოუწევთ შესაბამისი სალიცენზიო მოსაკრებლის და ნებართვის შესაბამისი ოდენობის საფასურების გადახდა. აღნიშნული მოთხოვნების დაწესებით კერძო დაცვითი ორგანიზაციების და მათთან დასაქმებული პირების (მცველების) საქმიანობა მთლიანად იქნება მოწესრიგებული საკანონმდებლო ღონეზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ მონაწილეობდნენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ მონაწილეობდნენ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები პალე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა და ლაშა თორდია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები პალე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა და ლაშა თორდია